



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

სტატისტიკური მონაცემები **2018-2020 წლებში**
საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე
ქართული ჯანდაცვის პროგრამებით
მოსარგებლეთა შესახებ

სარჩევი

<i>ძირითადი მიგნებები.....</i>	<i>2</i>
<i>შესავალი.....</i>	<i>2</i>
<i>სტატისტიკური მონაცემები ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა შესახებ.....</i>	<i>3</i>
<i>სტატისტიკური მონაცემები ოკუპირებული ტერიტორიებიდან „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ მოსარგებლეთა შესახებ.....</i>	<i>8</i>



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

ძირითადი მიგნებები

- 2017 წლის შემდეგ, საქართველოს რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პაციენტების რიცხვი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან შემცირდა ისევე, როგორც ბიუჯეტიდან მათ დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხა.
- 2014-2017 წლების მსგავსად, რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა შორის იყო აფხაზეთის - 1,402 და ცხინვალის რეგიონის 424 მაცხოვრებელი.
- რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტები 2018-2019 წლებში, 2014-2017 წლების მსგავსად, საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებს ყველაზე ხშირად ონკოლოგიისა და ონკოჰემატოლოგიის დაავადების შემთხვევაში მიმართავენ.
- 2018-2020 წლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან პირებმა „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ყველაზე ხშირად გეგმიური ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლეს, რაზეც ჯამში 817,675 ლარი დაიხარჯა ბიუჯეტიდან.
- ბიუჯეტიდან მოთხოვნილი თანხის რაოდენობის მიხედვით, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ყველაზე მეტი თანხა დაიხარჯა გადაუდებელ სტაციონარულ (77,230,754.53 ლარი), გეგმიურ ქირურგიულ (19,369,000.73 ლარი) და გადაუდებელ ამბულატორიულ (12,255,903.54 ლარი) მომსახურებებზე.
- 2018-2020 წლებში აფხაზეთიდან უფრო მეტმა პირმა ისარგებლა „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“, ვიდრე ცხინვალის რეგიონიდან.
- 2019 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე ისევე, როგორც ცხინვალის რეგიონში „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ მოსარგებლეთა რიცხვი 2018 წელთან შედარებით გაიზარდა, თუმცა 2020 წლის ოქტომბრამდე შეინიშნება კლება, რაც კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებულ გადაადგილების შეზღუდვებთანაც შეიძლება იყოს კავშირში.

შესავალი

ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს [პოლიტიკის](#) თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამშვიდობო პროცესის საინიციატივო წინადადებები და ფორმატები, წარმართოს სამშვიდობო პროცესები და მონაწილეობა მიიღოს მათში. აღნიშნული პოლიტიკა, ასევე, გულისხმობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (დროებით ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ო)

მცხოვრები¹ პაციენტების მკურნალობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში.

2018 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, 2014-2017 წლებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონალური მომსახურებით მოსარგებლეთა სტატისტიკური მონაცემების მოთხოვნით მიმართა. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კი გამოაქვეყნა [ანგარიში](#) ძირითადი მიგნებებით. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ეფექტურია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს პოლიტიკის ცალკეული ასპექტები და რამდენად სარგებლობენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები ქართული მხარის მიერ შეთავაზებული ჯანდაცვის პროგრამებით 2018 წლის შემდეგ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით კიდევ ერთხელ მიმართა 2020 წელს. სამინისტროდან ორგანიზაციამ გამოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:



1. 2018-2020 წლებში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მომსახურებით მოსარგებლეთა სტატისტიკური მონაცემები გაწეული მომსახურების სახეების და ხარჯების მიხედვით;
2. 2018-2020 წლებში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში რეფერალური მომსახურების პროგრამით მოსარგებლეთა სტატისტიკური მონაცემები გაწეული მომსახურების სახეების და ხარჯების მიხედვით.

სტატისტიკური მონაცემები ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა შესახებ



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული სტატისტიკური მონაცემებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა შესახებ ირკვევა, რომ 2018 წელს სულ აღირიცხა 1,669 შემთხვევა და 963 პაციენტი (აქედან ოკუპირებული აფხაზეთიდან

¹ აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის / ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლებში მოიაზრებიან როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური აფხაზები და ოსები, ასევე - ეთნიკური ქართველები, რომლებიც ძირითადად გალსა და ახალგორში ცხოვრობენ.

იყო 1,317 შემთხვევა (713 პაციენტი), ხოლო ყოფილი სამხრეთ ოსეთიდან - 352 შემთხვევა (250 პაციენტი)). რაც შეეხება ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას, 2018 წელს მან სულ 4,493,001.94 ლარი შეადგინა. 2019 წელს კი სულ აღირიცხა 1,552 შემთხვევა და 863 პაციენტი (აქედან ოკუპირებული აფხაზეთიდან იყო 1,305 შემთხვევა (689 პაციენტი), ხოლო ყოფილი სამხრეთ ოსეთიდან - 247 შემთხვევა (174 პაციენტი)) და ბიუჯეტიდან სულ გამოიყო 4,322,500.51 ლარი. ეს ნიშნავს იმას, რომ 2017 წლის შემდეგ, ქართული ჯანდაცვის პროგრამებით მოსარგებლე პაციენტების რიცხვი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან შემცირდა ისევე, როგორც ბიუჯეტიდან მათ დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხა.



ამასთანავე, მონაცემები აჩვენებს, რომ 2014-2017 წლების მსგავსად, სახელმწიფო სამედიცინო დახმარებით მოსარგებლე პაციენტებს შორის უფრო მეტი იყო აფხაზეთში (1,402 პაციენტი), ვიდრე ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირი (424 პაციენტი).




ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტები 2018-2019 წლებში, 2014-2017 წლების მსგავსად, საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებს ყველაზე ხშირად ონკოლოგიისა და ონკოჰემატოლოგიის დაავადების შემთხვევაში მიმართავენ. 2014-2017 წლებში ჯამში საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებმა 1,576 ასეთი პაციენტი მიიღეს, რაც 2014-2017 წლების მაჩვენებელს (1,478 პაციენტი) აღემატება. მიუხედავად ამისა, ამგვარ პაციენტებზე

2018-2019 წლებში ბიუჯეტიდან სულ 2,880,301.61 ლარი დაიხარჯა, რაც 2014-2017 მაჩვენებელზე (3,180,638.76 ლარი) ნაკლებია (იხ. სურათი №5, №6 და №7).


სურათი №5 - პაციენტების და მათზე გამოყოფილი თანხის განაწილება დაავადებების მიხედვით		
პათოლოგია	პაციენტების რაოდენობა	თანხა (ლარი)
ონკოლოგია /ონკოჰემატოლოგია	1,576	2,880,301.61
კარდიოლოგია და კარდიოქირურგია	316	1,604,395.71
ზოგადი ქირურგია და გინეკოლოგია	270	527,881.23
სხვადასხვა	227	1,198,651.94
ჰეპატიტი და სხვა ინფექციური პათოლოგია	161	376,491.42
ნეიროქირურგია და ნევროლოგია	147	669,268.17
ოფთალმოლოგია	91	189,556.32
უროლოგია/ნევროლოგია	86	220,542.77
პოლიტრავმა და ტრავმა	76	320,187.37
პულმონოლოგია	72	202,331.14
ანგიოლოგია	61	274,841.5
კეთილთვისებიანი სიმსივნეები	56	150,868.12
ენდოკრინოლოგია	40	109,515.16

საჭმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებები	37	87,483.19
სისტემური	5	3,186.8

სურათი №6 - პაციენტების განაწილება დაავადებების მიხედვით




სურათი №7 - პაციენტებზე გამოყოფილი საერთო თანხის (ლარი) განაწილება დაავადებების მიხედვით




სტატისტიკური მონაცემები ოკუპირებული ტერიტორიებიდან „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ მოსარგებლეთა შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ IDFI-ის ცალკე მიაწოდა ინფორმაცია 2018 წლიდან 2020 წლის ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში, სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მისამართის შესაბამისად, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ კომპონენტების ფარგლებში, შემთხვევების რაოდენობის (გაწერის თარიღის მიხედვით) და მოთხოვნილი თანხების, მათ შორის, პროგრამის გეგმიური ამბულატორიული კომპონენტის ფარგლებში, პირთა რაოდენობისა და მოთხოვნილი თანხების შესახებ (სურათი №8, №9).



სურათი №9 - ბიუჯეტიდან მოთხოვნილი თანხის (ლარი) განაწილება მომსახურების სახეების მიხედვით




როგორც სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, 2018-2020 წლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან პირებმა „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ყველაზე ხშირად გეგმიური ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლეს, რაზეც ჯამში 817,675 ლარი დაიხარჯა ბიუჯეტიდან. ბიუჯეტიდან მოთხოვნილი თანხის რაოდენობის მიხედვით კი ყველაზე მეტი თანხა დაიხარჯა გადაუდებელ სტაციონარულ (77,230,754.53 ლარი), გეგმიურ ქირურგიულ (19,369,000.73 ლარი) და გადაუდებელ ამბულატორიულ (12,255,903.54 ლარი) მომსახურებებზე.

სურათი №10 - შემთხვევების რაოდენობისა და ბიუჯეტიდან მოთხოვნილი თანხის განაწილება მომსახურების სახეების მიხედვით 2018-2020 წლებში		
კომპონენტი	შემთხვევების რაოდენობა	მოთხოვნილი თანხა
გეგმური ამბულატორიული მომსახურება (კაპიტაცია)	468,931	817,675.03
გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება	152,208	12,255,903.54
გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება	50,874	77,230,754.53
გეგმური ქირურგიული მომსახურება (გარდა კარდიოქირურგიისა)	16,077	19,369,000.73
ქიმიოთერაპია და ჰორმონოთერაპია	10,252	2,112,459.06
ინფექციური დაავადებების მართვა	7,229	5,005,199.89
მშობიარობა და საკეისრო კვეთა	6,223	3,759,315
გეგმური ამბულატორიული მომსახურება (შესრულებული სამუშაო)	676	149,217.45
სხივური თერაპია	616	3,682,236.05
კარდიოქირურგია/ინტერვენციული კარდიოლოგია	564	3,377,140.9
მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურების კომპონენტი	532	364,319.25

ამასთანავე, მონაცემების მიხედვით, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 2018-2020 წლებში აფხაზეთში (647,135 შემთხვევა) უფრო მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, ვიდრე ცხინვალის რეგიონში (67,047 შემთხვევა). აფხაზეთიდან დაფიქსირებულ შემთხვევებში, ასევე უფრო მეტი თანხა დაიხარჯა ბიუჯეტიდან (115,017,980 ლარი), ვიდრე ცხინვალის რეგიონიდან დაფიქსირებულ შემთხვევებზე (13,105,242 ლარი). იგივე მონაცემები ცხადყოფს, რომ 2019 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლეთა რიცხვი 2018 წელთან შედარებით გაიზარდა, თუმცა 2020 წლის ოქტომბრამდე შეინიშნება კლება, რაც კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებულ გადაადგილების შეზღუდვებთანაც შეიძლება იყოს კავშირში. იგივე ტენდენციაა ცხინვალის რეგიონშიც (სურათი №11, №12).

სურათი №11 - შემთხვევების რაოდენობა
საცხოვრებელი ადგილის მიხედვით



სურათი №12 - ბიუჯეტიდან მოთხოვნილი თანხის
განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

